

ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №15

2019 წლის 16 ივლისი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016422) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და №2 ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

დანართი 1

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:  
(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	155,497.8	154,542.4	152,342.9		152,342.9
გადასახადები	30,914.9	29,900.0	73,153.6		73,153.6
გრანტები	82,154.5	81,757.1	35,590.0		35,590.0
სხვა შემოსავლები	42,428.4	42,885.3	43,599.3		43,599.3
ხარჯები	85,201.1	87,866.4	99,308.8		99,308.8
შრომის ანაზღაურება	19,384.2	19,714.0	22,232.5		22,232.5



საქონელი და მომსახურება	30,902.9	35,358.4	38,273.4		38,273.4
პროცენტი	3,583.5	4,447.5	5,315.0		5,315.0
სუბსიდიები	14,384.2	13,761.3	13,769.7		13,769.7
გრანტები	4.6	25.5	25.5		25.5
სოციალური უზრუნველყოფა	7,279.2	8,081.9	9,447.8		9,447.8
სხვა ხარჯები	9,662.4	6,477.8	10,244.9		10,244.9
<b>საოპერაციო საღდო</b>	<b>70,296.7</b>	<b>66,676.0</b>	<b>53,034.2</b>		<b>53,034.2</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>46,210.7</b>	<b>53,061.7</b>	<b>47,218.5</b>		<b>47,218.5</b>
ზრდა	59,350.4	63,961.7	57,918.5		57,918.5
კლება	13,139.7	10,900.0	10,700.0		10,700.0
<b>მთლიანი საღდო</b>	<b>24,086.0</b>	<b>13,614.3</b>	<b>5,815.7</b>		<b>5,815.7</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>6,660.3</b>	<b>-180.2</b>	<b>-8,424.8</b>		<b>-8,424.8</b>
ზრდა	6,660.3	5,777.9			
ვალუტა და დეპოზიტები	5,937.2				
აქციები და სხვა კაპიტალი	723.1	5,777.9			
კლება		5,958.1	8,424.8		8,424.8
ვალუტა და დეპოზიტები		5,958.1	8,424.8		8,424.8
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-17,425.8</b>	<b>-13,794.5</b>	<b>-14,240.5</b>		<b>-14,240.5</b>
კლება	17,425.8	13,794.5	14,240.5		14,240.5
საშინაო	17,425.8	13,794.5	14,240.5		14,240.5
<b>ბალანსი</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>0</b>

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



<b>შემოსულობები</b>	<b>168,637.5</b>	<b>165,442.4</b>	<b>163,042.9</b>		<b>163,042.9</b>
შემოსავლები	155,497.8	154,542.4	152,342.9		152,342.9
არაფინანსური აქტივების კლება	13,139.7	10,900.0	10,700.0		10,700.0
<b>გადასახდელები</b>	<b>162,700.4</b>	<b>171,400.5</b>	<b>171,467.7</b>		<b>171,467.7</b>
ხარჯები	85,201.1	87,866.4	99,308.8		99,308.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	59,350.4	63,961.7	57,918.5		57,918.5
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	723.1	5,777.9			
ვალდებულებების კლება	17,425.8	13,794.5	14,240.5		14,240.5
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>5,937.1</b>	<b>-5,958.1</b>	<b>-8,424.8</b>		<b>-8,424.8</b>

**მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 152,342.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
<b>შემოსავლები</b>	<b>155,497.8</b>	<b>154,542.4</b>	<b>152,342.9</b>
გადასახადები	30,914.9	29,900.0	73,153.6
გრანტები	82,154.5	81,757.1	35,590.0
სხვა შემოსავლები	42,428.4	42,885.3	43,599.3

**მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 73,153.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
11	<b>გადასახადები</b>	<b>30,914.9</b>	<b>29,900.0</b>	<b>73,153.6</b>
111	გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე	5,599.5	5,400.0	
1111	ფიზიკური პირებიდან	5,599.5	5,400.0	
11111	საშემოსავლო გადასახადი	5,599.5	5,400.0	
113	გადასახადები ქონებაზე	25,315.4	24,500.0	25,200.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	25,315.4	24,500.0	25,200.0



11311	ქონების გადასახადი	25,315.4	24,500.0	25,200.0
113111-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	22,064.9	21,650.0	22,300.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,528.1	1,150.0	1,200.0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	1,722.4	1,700.0	1,700.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები			47,953.6

**მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 35,590.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
13	გრანტები	82,154.5	81,757.1	35,590.0
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	82,154.5	81,757.1	35,590.0
	<i>მიმდინარე დანიშნულების გრანტები</i>	<i>43,106.7</i>	<i>41,431.1</i>	<i>3,446.4</i>
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	37,342.3	40,286.4	
1331111	გათანაბრებითი ტრანსფერი	37,342.3	40,286.4	
133211	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	5,764.4	1,144.7	3,446.4
1332111	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	5,764.4	1,144.7	3,446.4
	<i>კაპიტალური დანიშნულების გრანტები</i>	<i>39,047.9</i>	<i>40,326.0</i>	<i>32,143.7</i>
133112	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	4,650.8	2,326.0	1,484.9
1331123	სხვა ტრანსფერი	4,650.8	2,326.0	1,484.9
133212	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	34,397.1	38,000.0	30,658.8
1332122	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	34,397.1	38,000.0	30,658.8

**მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 43,599.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	42,428.4	42,885.3	43,599.3



141	შემოსავლები საკუთრიდან	1,993.5	2,317.2	2,408.0
1411	პროცენტები	917.5	600.0	500.0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	917.5	600.0	500.0
1412	დივიდენდები		900.0	838.0
14121	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები		900.0	838.0
1415	რენტა	1,076.1	817.2	1,070.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	157.3	140.0	150.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	918.7	677.2	920.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	34,028.1	35,168.1	35,441.3
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	34,011.4	34,924.1	35,441.3
14223	სანებართვო მოსაკრებლები	450.9	400.0	400.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	450.9	400.0	400.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	3.0		
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	4.4		
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	30,630.2	31,324.1	32,100.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	1,848.7	2,000.0	2,500.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1,074.0	1,200.0	441.3
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.2		
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	16.7	244.0	
14232	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	16.7	244.0	
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16.7	244.0	
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	4,947.8	4,700.0	4,700.0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1,458.9	700.0	1,050.0

**მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 99,308.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
------	------------	-----------------	-----------------	-----------------



2	ხარჯები	85,201.1	87,866.4	99,308.8
21	შრომის ანაზღაურება	19,384.2	19,714.0	22,232.5
22	საქონელი და მომსახურება	30,902.9	35,358.4	38,273.4
24	პროცენტი	3,583.5	4,447.5	5,315.0
25	სუბსიდიები	14,384.2	13,761.3	13,769.7
26	გრანტები	4.6	25.5	25.5
27	სოციალური უზრუნველყოფა	7,279.2	8,081.9	9,447.8
28	სხვა ხარჯები	9,662.4	6,477.8	10,244.9

**მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**  
 განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 47,218.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 57,918.5 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	282.5	336.4	140.0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	49,916.9	54,533.0	50,843.8
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,819.2	1,959.4	3,839.6
04 00	განათლება	1,877.8	2,408.7	1,770.4
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,999.2	2,913.6	619.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	117.7	30.3	92.1
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	337.1	1,111.1	164.5
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება		669.2	449.1
	<b>სულ</b>	<b>59,350.4</b>	<b>63,961.7</b>	<b>57,918.5</b>

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10,700.0 ათასი ლარის ოდენობით:



კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	13,139.7	10,900.0	10,700.0
311	ძირითადი აქტივები	122.5	2,100.0	
314	არამწარმოებლური აქტივები	13,017.1	8,800.0	10,700.0

**მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 157,227.2 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
7	სულ	144,551.5	151,828.1	157,227.2
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11,887.8	16,694.5	17,031.6
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	8,304.4	8,921.6	8,459.7
70111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	8,159.3	7,552.4	7,195.7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	145.1	1,369.2	1,264.0
7013	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები		3,230.4	3,206.9
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	3,583.5	4,447.5	5,315.0
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში		95.0	50.0
702	თავდაცვა	11.8	21.4	20.2
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	11.8	21.4	20.2
704	ეკონომიკური საქმიანობა	42,518.4	46,292.9	47,907.3
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა		160.0	50.0
70412	შრომით რესურსებთან დაკავშირებული საკითხები		160.0	50.0
7045	ტრანსპორტი	40,672.5	44,751.1	46,826.1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	40,672.5	44,751.1	46,826.1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1,845.9	1,381.8	1,031.2



705	გარემოს დაცვა	11,289.0	12,224.0	12,923.5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	7,355.7	8,199.7	9,313.1
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3,933.3	4,024.3	3,610.4
<b>706</b>	<b>საბინაო-კომუნალური მეურნეობა</b>	<b>30,792.3</b>	<b>27,859.2</b>	<b>26,329.4</b>
7061	ბინათმშენებლობა		1,260.6	1,718.3
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	9,326.8	4,887.5	6,437.8
7063	წყალმომარაგება	15,022.6	14,148.1	10,405.2
7064	გარე განათება	4,930.7	4,332.5	4,358.4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1,512.2	3,230.5	3,409.8
<b>707</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>3,675.7</b>	<b>4,216.3</b>	<b>6,266.7</b>
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	372.9	685.8	1,135.5
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	372.9	685.8	1,135.5
7072	ამბულატორიული მომსახურება	131.0	149.0	160.8
70722	სპეციალიზირებული ამბულატორიული მომსახურება	34.6		
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	96.4	149.0	160.8
7073	სავადმყოფოების მომსახურება	440.0	560.6	530.2
70732	სპეციალიზირებული სავადმყოფოების მომსახურება	260.2	256.4	185.2
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	179.9	304.2	345.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1,133.3	1,178.7	2,065.7
7075	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			7.2
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,598.4	1,642.2	2,367.3
<b>708</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>22,411.4</b>	<b>20,327.5</b>	<b>20,825.2</b>
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	16,419.1	13,964.6	14,434.5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	5,722.0	6,204.8	6,219.1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	270.2	158.1	171.6
<b>709</b>	<b>განათლება</b>	<b>13,344.7</b>	<b>15,697.4</b>	<b>16,618.5</b>
7091	სკოლამდელი აღზრდა	13,204.8	15,521.0	16,437.5
7092	ზოგადი განათლება		9.2	11.0
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება		9.2	11.0
7093	პროფესიული განათლება		27.2	
7094	უმაღლესი განათლება	100.0	100.0	100.0



70942	უმალესი აკადემიური განათლება	100.0	100.0	100.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	39.9	40.0	70.0
<b>710</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>8,620.5</b>	<b>8,494.9</b>	<b>9,304.8</b>
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,730.9	2,405.4	2,594.4
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	5,415.9	6,089.5	6,710.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1,473.6		

**მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 5,815.7 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 8,424.8 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 8,424.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
<b>32</b>	<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>6,660.2</b>	<b>-180.2</b>	<b>-8,424.8</b>
	<b>ზრდა</b>	<b>6,660.3</b>	<b>5,777.9</b>	
321	საშინაო	6,660.3	5,777.9	
3212	ვალუტა და დეპოზიტები	5,937.2		
3215	აქციები და სხვა კაპიტალი	723.1	5,777.9	
	<b>კლება</b>	<b>0.1</b>	<b>5,958.1</b>	<b>8,424.8</b>
322	საშინაო	0.1	5,958.1	8,424.8
3222	ვალუტა და დეპოზიტები		5,958.1	8,424.8
3252	აქციები და სხვა კაპიტალი	0.1		

**მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 14,240.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 14,240.5 ათასი ლარის ოდენობით:



კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-17,425.8	-13,794.5	-14,240.5
	კლება	17,425.8	13,794.5	14,240.5
331	საშინაო	17,425.8	13,794.5	14,240.5

## თავი II

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები შემდეგი რედაქციით:

**1 პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)**

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- 1.1** – გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა.

**გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)**

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

**1.1.1** ცივი პლასტის საღებავით ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები;

პლასტმასის ბოძის შექმნა

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

ახალი ბოძკინტების შექმნა;

სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერის შესყიდვა-დამონტაჟება;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

**საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)**

**ე.წ. „ჭაობის დასახლებაში“ ქუჩების კეთილმოწყობა:**

ი. ჭავჭავაძის და გიორგი ბრწყინვალეს ქუჩებს შორის არსებული ქუჩების მონაკვეთების კეთილმოწყობა

ბაგრატიონის შესახვევი, გურამიშვილის ქუჩა, გურამიშვილის შესახვევი, მელიქიშვილის I შესახვევი, სააკაძის ქუჩა, სააკაძის შესახვევი, ჩოლოყაშვილის (ოსტროვსკი) I შესახვევი ,



ვაჟა-ფშაველას ქუჩის მონაკვეთი (ლადო ასათიანის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე)  
სანიაღვრეებით

ლუკა ასათიანის ქუჩის მონაკვეთი (ვარშანიძის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე)  
სანიაღვრეებით

3. აბაშიძის ქუჩის მონაკვეთი (ლადო ასათიანის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე)  
სანიაღვრეებით

ი. ჯავახიშვილის ქუჩა (ორბელიანის ქუჩიდან გ. ბრწყინვალის ქუჩამდე)

გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა

აკადემიკოს მამია კომახიძის ქუჩის და სევასტოპოლის ქუჩის კეთილმოწყობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის (ოსტროვსკის) ქუჩა

**აღმაშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

გენ. ა. აბაშიძის ქუჩის კეთილმოწყობა (ბაგრატიონის ქ-დან ლეონიძეს ქ-მდე) სანიაღვრეთი

**სამრეწველო ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

ხიხანის ქუჩა; აკაკი შანიძის პირველი ჩიხის კეთილმოწყობა

**ბონი-გოროდოკის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

ვ. მაიაკოვსკის ქუჩა; ბონი-გოროდოკის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა:

ვ. მაიაკოვსკის I, III და IV ჩიხი, ს. მესხის III ჩიხი, დ. ჭონქაძის ქუჩა, ი. გოგოლის შესახვევი, თ. სახოკიას ქუჩა, რ. თაბუკაშვილის ქუჩა, გ. წერეთელის ქუჩა, გ. ვოლსკის ქუჩა, კულტურის სახლთან მიმდებარე ტერიტორიაზე, არსებული ვიწრო ჩიხების კეთილმოწყობის სამუშაოები. ს. მესხის ქუჩის კეთილმოწყობა. ნ. ნიჟარაძის ქუჩის კეთილმოწყობა. ბონი-გოროდოკის დასახლების ქუჩების კეთილმოწყობა: ალ. ჩხაიძის ქუჩა (ფეხით სავალი ნაწილი ერთ მხარეს, ჯიბეები) და ქუჩის გაგრძელება იაშვილის ქუჩიდან ერისთავის ქუჩამდე და იოსელიანი ქუჩის, ერისთავის შესახვევი და მეორე ჩიხი, ა. ნოღაიდელის ქუჩის, იაშვილის ქუჩის, კაიკაცისშვილის ქუჩის, იუნკერების ქუჩის, დადიანის ქუჩის და ე. თაყაიშვილის ქუჩის კეთილმოწყობა.

**გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

გონიო-კვარიათის დასახლებაში ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები: აფსაროსის გზატკეცილის II ჩიხი, აფსაროსის გზატკეცილის III შესახვევი, ანდრია პირველწოდებულის 120-დან 122-მდე, ანდრია პირველწოდებულის II ჩიხი, ანდრია პირველწოდებულის III ჩიხი, ანდრია პირველწოდებულის №3, ანდრია პირველწოდებულის №4, ანდრია პირველწოდებულის №6, ანდრია პირველწოდებულის IV ჩიხი, ანდრია პირველწოდებულის VI ჩიხი, ანდრია პირველწოდებულის VII ჩიხი, ანდრია პირველწოდებულის III შესახვევი, მატათა მოციქულის ქუჩა, მეფე მირიანის ქუჩა, მეფე მირიანის I ჩიხი, მეფე მირიანის III ჩიხი, სვიმონ კანანელის №3 ჩიხი, სვიმონ კანანელის ქუჩა №15, №17, №19, სვიმონ კანანელის №70, სვიმონ კანანელის I შესახვევი, სვიმონ კანანელის I ჩიხი, სვიმონ კანანელის II ჩიხი, წმინდა ნინოს I ჩიხი.

გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: მატათა მოციქულის ქუჩა №32, პეტრე იბერის ქუჩა №75, პეტრე იბერის ქუჩის დასაწყისიდან სვიმონ კანანელის ქუჩის მიმართულებით, იოანე ლაზის I შესახვევი №32, პეტრე იბერის V-ჩიხი №3, მეფე მირიანის III-ჩიხი №9, იოანე ლაზის №5, წმინდა ნინოს №1, წმინდა ნინოს ქუჩა 2-ჩიხი №7 ის მიმდებარედ.

**ჯავახიშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**



აკ. ვახტანგ შამილაძის ქუჩა, ლადო ასათიანის ქუჩა (სანიაღვრე არხებით);

ლერმონტოვის ქუჩის გაგრძელების გენერალ აბაშიძის ქუჩამდე (ხორცკომბინატის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხის მოწყობა) და სულხან საბა ორბელიანის ქუჩის კეთილმოწყობა;

აჭარისწყლის შესახვევი (სანიაღვრე არხებით) აჭარისწყლის შესახვევის კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

## 1.1.2

ბაგრატიონის ჩიხი (სანიაღვრე არხებით) ბაგრატიონის ჩიხის კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

გონიოს ქუჩის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

თევრათ გორგილაძის ქუჩა (სანიაღვრე არხებით) თევრათ გორგილაძის ქუჩის კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

ლადო ასათიანის ჩიხის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

ლუკა ასათიანის შესახვევის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა;

მ. ვარშანიძის შესახვევის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

პ. მელიქიშვილის ჩიხის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

ლ. გელაძის ქუჩის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

პ. მელიქიშვილის II შესახვევის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

ნანა გვარიშვილის ქუჩის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით);

ს. ხიმშიაშვილის ქუჩის №109-113-ის მონაკვეთის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა;

ურეხის ქუჩის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა;

დემეტრე თავდადებულის შესახვევის (სანიაღვრე არხებით) კეთილმოწყობა (სანიაღვრე არხებით).

**ხიმშიაშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

ი. ჯავახიშვილის ქუჩა (ტბელ აბუსერიძის ქუჩიდან შ. ხიმშიაშვილის ქუჩამდე);

ჟილინის არხის მიმდებარე ქუჩის კეთილმოწყობა.

**მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

მახინჯაურის რკინიგზის სადგურიდან თამარ მეფის გამზირის №41-მდე ტროტუარის მოწყობა, ახალგაზრდობის ქუჩის კეთილმოწყობა ;

მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები.

**თამარის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

ქ. ბათუმში, ე.წ. „ბარცხანის“ ხიდის რეაბილიტაცია;

ნობელების ქუჩის მონაკვეთის კეთილმოწყობა;

თამარის დასახლება სახლი №29-ის მიმდებარედ მშენებარე საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოწყობა.

**კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**



ხახულის მეორე შესახვევის კეთილმოწყობა;

კახაბრის ქუჩის კეთილმოწყობა;

ნუცუბიძის პირველი ჩიხის და მეორე შესახვევის კეთილმოწყობა;

კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: თოდოგაურის დას №126, ურეხის დასახლება №35, ზედაღელის ქუჩა №54, ზედაღელის ქუჩა №9 მიმდებარედ ურეხის დასახლება და ზედაღელის გზაჯვარედინის მონაკვეთი, თოდოგაურის დასახლება №93, თოდოგაურის დასახლება №386.

**აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

ანგისის პირველი შესახვევის მონაკვეთების კეთილმოწყობა, აეროპორტის გზატკეცილი №238-დან №252-მდე ქუჩის კეთილმოწყობა, აეროპორტის გზატკეცილი №219-დან №235-მდე ქუჩის კეთილმოწყობა.

**რუსთაველის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა:**

ვახტანგ გორგასალის ქუჩა №159-ის მიმდებარედ ქუჩის მოწყობა,

**გზის პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობა;**

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შემენა-მონტაჟი;

**ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.**

**გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)**

გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი;

დიოდური სანათების შემენა;

**ქალაქის გარე განათების კაპიტალური სამუშაოები:**

**1.1.3**

აღმშენებლის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების გარე განათების მოწყობა;

გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების გარე განათების მოწყობა;

მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების გარე განათების მოწყობა;

აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების გარე განათების მოწყობა;

მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების გარე განათების მოწყობა.

**სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

**1.2**

– სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა;

– მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;



– ბათუმის ავტობუსების პროექტის თანადაფინანსება.

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და პარკირების სერვისის მართვა (პროგრამული კოდი 02 02 01)**

1.2.1

ადმინისტრირება და მართვა;

**მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 02)**

1.2.2

შპს – „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

**საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

1.3

– ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

– სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

– წყლის სისტემების რეაბილიტაცია.

**სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01-02 03 05)**

1.3.1

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია; სანიაღვრე ჭის სახურავების შექმნა.

ქალაქის სანიაღვრე არხების კაპიტალური რეაბილიტაცია

**წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდები 02 03 02 – 02 03 06)**

1.3.2

ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემოერთებული ტერიტორიების წყალმომარაგების სამუშაოების მეორე ეტაპი (ფრიდონ ხალვაშის გამზირის მარჯვენა (მდ. ჭოროხის მიმდებარე) უბანი);

„მამია ვარშანიძის №118-ის მიმდებარედ წყლის და წყალანირების სისტემის მოწყობა;

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება;

1.3.2

**კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდები 02 03 03)**

ეზოების ქსელის კანალიზაციის სისტემის ახალ ქსელზე დაერთება;

**ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)**

1.3.4

შპს – „ბათუმის წყალის“ სუბსიდირება;

პროექტის ფარგლებში დღგ-ის და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

1.4

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– საცხოვრებელი სახლების მშენებლობა



– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

**საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 01; 02 04 04)**

**1.4.1** ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩა №78ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე 2 ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება და ახალი 2 ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 03)**

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავებზე თოვლდამჭერების, წყალშემკრები და წყალსაწრეტი ღარების მონტაჟი;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების კომუნალური სისტემის შეცვლა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შექმნა-მონტაჟი;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;

არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში დისტანციური პულტით მართვადი ბარიერების მოწყობა;

**1.4.2** მრავალსართულიანი სახლების ეზოებისთვის სკამების-ფანჩატურების შექმნა (განლაგებით);

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარებისა და ელექტროსაკეტების მოწყობა;

ეზოებში შესასვლელში ახალი ჭიშკრების შექმნა-მონტაჟი;

საცხოვრებელი სახლებისთვის საინფორმაციო ფირნიშების შექმნა-მონტაჟი;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე განათების მოწყობა;

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების შესასვლელში პანდუსების მოწყობა;

საცხოვრებელ სახლებზე დაზიანებული აზბესტის ფურცლების ნაცვლად ლითონის პროფილური ფურცლის აკვრა.

**მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)**

**1.5** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

**მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)**

ადმინისტრირება და მართვა;



1.5.1 უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

ფერიის სასაფლაოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

**ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)**

1.6 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

ა(ა)იპ – საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

1.6.1

ადმინისტრირება და მართვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)**

შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით);

1.6.2

მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.

**საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)**

ბოტანიკურ ბაღში მცხოვრებ ოჯახზე საკომპენსაციო თანხების გაცემა;

1.6.3

ახალი ზოოპარკის მშენებლობისათვის განსაზღვრული მიწის ნაკვეთების თვითნებურად დამკავებელი პირებისათვის საკომპენსაციო თანხების გაცემა;

ქ. ბათუმში, თაბუკაშვილის ქუჩა № 14-ში, საკუთარი სახლის წინ, ტროტუარზე განთავსებული კომერციული ფართის დემონტაჟის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხების გაცემა.

**ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)**

1.7 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

**ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 01)**



საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

1.7.1 წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.

2

**პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)**

**ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)**

2.1 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

**ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;

2.1.1

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა;

ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარიული მომსახურება.

**ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)**

2.1

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

– ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

**პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 02)**

2.1.2

ს. ზუბალაშვილის, ლ. ასათიანის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა; ქობულეთისა და სულაბერიძის ქუჩების კვეთაში არსებული სპორტული მოედნის დემონტაჟისა და მის ნაცვლად სკვერის მოწყობა; მრავალსართულიანი სახლების მიმდებარე ფანჩატურის მოწყობა; რუსთაველის გამზირი №1-ში მდებარე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარე არსებული შადრევნის რეაბილიტაცია; ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, შეკეთება-მოწყობა. ანბანის კომპის მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

**ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

2.1.3

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.



**3 პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

**სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- 3.1**
- ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;

– საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია;

**ა(ა)იპ – ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)**

საბავშვო ბაღების მართვა-ადმინისტრირება;

- 3.1.1**
- საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.

**საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 03)**

- 3.1.2**
- ლერმონტოვისა და ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ (ფერადის ქუჩაზე) №27 საბავშვო ბაღის საძირკვლების გაძლიერებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ლერმონტოვის ქ. №96-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა;

საბავშვო ბაღების შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

**პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- 3.2**
- პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

– ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის;

– საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

**პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 01)**

- 3.2.1**
- უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა (20 ბენეფიციარი).

**ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის (პროგრამული კოდი 04 02 02)**

- 3.2.2**
- 2018-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა (4 თვე, თვეში 200 ლარი);

2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შედეგების მიხედვით სტიპენდიების გაცემა (6 თვე, თვეში 200 ლარი)

**საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 04)**

- 3.2.3**
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა უცხოეთში სტაჟირების მხარდაჭერა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლექტორ-მასწავლებელთა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა.



## **ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)**

**3.3** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

### **ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03 01)**

**3.3.1** სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

**4** **პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

### **სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

– მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

– საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;

**4.1** – ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა;

– სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა;

– ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი „ნონა“;

– ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი;

### **მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ეზოს ფეხბურთი;

ბათუმის ღია ფესტივალი შოტოკან-კარატე-დოში ჭაბუკთა და ვეტერანთა შორის;

Street ball ტურნირი საშემოდგომო/საგაზაფხულო ლიგა;

ვეტერანთა შორის სპორტული თამაშები;

სხვადასხვა სპორტული ღონისძიება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის;

აუტიზმის სინდრომის მქონე ბავშვთა საფეხბურთო სკოლა;

სასკოლო ფესტივალი;

**4.1.1** მძლეოსნური გარბენი;

ველოგარბენი;

ბათუმის ღია ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში – შავი ზღვის თასი;

ქართული ჭიდაობა;

ქვიშის რაგბის ღია ფესტივალი;

ქვიშის ფრენბურთის ღია ფესტივალი;

მინი ფეხბურთის ტურნირი საჯარო და კერძო უწყებებს შორის;

ჩოგბურთის ფესტივალი;



სპორტული ფესტივალი – მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჭადრაკი;

#### **საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში;

ბათუმის ღია საერთაშორისო უშუ-კუნგფუს ჩემპიონატი;

რ. სიხარულიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში;

#### **4.1.2 აღმოსავლეთ ევროპის ზონალური ასოციაციის (EEVZA) ჩემპიონატი საპლაჟო ფრენბურთში (მამაკაცები, ქალები);**

საერთაშორისო A – კლასის ტურნირი „batumi Open“;

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მსოფლიო ჩემპიონის, სიდნეის XXVII ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ორგზის მსოფლიო თასის მფლობელის მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის;

#### **ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03)**

#### **4.1.3 ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა;**

წლის შემაჯამებელი შეხვედრა წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეებთან;

#### **სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 04)**

შპს – საფეხბურთო კლუბი „ბათუმის დინამოს“ სუბსიდირება;

შპს – სარაგბო კლუბი – „ბათუმის“ სუბსიდირება;

#### **4.1.4 შპს – ფრენბურთის კლუბი – „ბათუმის“ სუბსიდირება;**

შპს – საკალათბურთო კლუბი – „ბათუმის“ სუბსიდირება;

შპს – წყალბურთის კლუბი – „ბათუმის“ სუბსიდირება;

შპს – ხელბურთის კლუბის „ბათუმის“ სუბსიდირება;

#### **ა(ა)იპ – საჭადრაკო კლუბი „ნონა“ (პროგრამული კოდი 05 01 05)**

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

#### **4.1.5**

ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

#### **ა(ა)იპ – ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 06)**

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;

#### **4.1.6**

სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;

ცხენებისათვის საკვები მარაგების შექმნა და სამედიცინო მომსახურება.

#### **მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 02)**



4.2 პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.

ა(ა)იპ – ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

მართვა და ადმინისტრირება;

ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

4.2.1 სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება;

სპორტულ-ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება;

ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა,

სანიშნოსნო სპორტის განვითარების ხარჯები (ბაიდარკები).

4.2.2 სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 02 02)

აეროპორტის გზატკეცილზე სპორტული მოედნის მოწყობა.

**კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- კულტურული ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

4.3 - ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები;

- კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;

- საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა;

- კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა.

**კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)**

4.3.1 ა(ა)იპ – ბათუმის კულტურის ცენტრის დაფინანსება ქალაქში სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებისა და მართვის მიზნით .

**ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)**

3 მარტი – დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

